საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N994 2026 წლის 15 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრომ დააყენა საკითხი, მუნიციპალიტეტების მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ნაწილობრივი რეაბილიტაციის უზრუნველყოფის მიზნით, მისთვის დამატებით 80 000 000 (ოთხმოცი მილიონი) ლარის გამოყოფის თაობაზე.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელების მიზნით, დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს:

ა) „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის 80 000 000 (ოთხმოცი მილიონი) ლარით გაზრდა, საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს „საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამის ასიგნებების შემცირების ხარჯზე;

ბ) „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსთვის 80 000 000 (ოთხმოცი მილიონი) ლარის გამოყოფა, მუნიციპალიტეტების მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ნაწილობრივი რეაბილიტაციის უზრუნველყოფის მიზნით.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე